



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/6431
16/09/2021

6431-09-2-202109161008



გსაქართველოს ფინანსთა სამინისტროს
საგამოძიებო სამსახურის
საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ლევან ძნელაძეს
მის: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2ა

ბატონო ლევან,

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის (მონიტორინგი) გეგმის შესრულების მიზნით, განხორციელდა ნიმუშების აღება რძის ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა რძესა და რძის პროდუქტებში. სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ 2021 წელს სურსათის სარეალიზაციო ობიექტებიდან და საწარმოებიდან აღებულ იქნა სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუშები.

აღნიშნული ნიმუშები ლაბორატორიული კვლევის მიზნით გადაეცა სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას (მის: ქ. თბილისი, ვ. გომიაშვილის ქ. N49). ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 3 ნიმუში რძის ცხიმის გარდა შეიცავს სხვა ცხიმების ნარევეს, მათ შორის მცენარეულ ცხიმებს:

1. ხაჭო 9% MALCO დამზადების თარიღი 17.05.2021 ვარგისიანობის ვადა - 29.05.2021; გამოცდის ოქმი №2868 28.05.2021; მწარმოებელი: შპს „რესპუბლიკა“ ს/კ 406205592 ფაქტიური მისამართი: თბილისი, ორხევის დასახ. ახლედიალის ქ. №26ა.

2. არაჟანი რანინა 20% დამზადების თარიღი 06.05.2021 ვარგისიანობის ვადა - 26.05.2021. გამოცდის ოქმი №2869 28.05.2021; მწარმოებელი: შპს „რესპუბლიკა“ ს/კ 406205592 ფაქტიური მისამართი: თბილისი, ორხევის დასახ. ახლედინის ქ. №26ა.
3. ბებოს მაწონი დამზადების თარიღი 05.06.2021 ვარგისიანობის ვადა - 9 დღე. გამოცდის ოქმი №3340 16.06.2021; მწარმოებელი: შპს „ფუდ ლაინი+“ ს/კ 400255870 ფაქტიური მისამართი: თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ქსნის ქუჩა №35.

გაცნობებთ, რომ „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №152 მთავრობის დადგენილების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად:

„სურსათის ეტიკეტზე დასახელება რძე, მშრალი რძე (რძის ფხვნილი), ნაღები, არაჟანი, მაწონი, იოგურტი, კეფირი, კარაქი, ერბო, დო, ხაჭო, ყველი, შესქელებული რძე, შრატი, რძის ცხიმი, კაზეინი, გაუწყლოებული რძის ცხიმი,კუმისი და სხვა, რომელთა წარმოება ხდება ამ რეგლამენტის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ასევე ამ დასახელებების გამოყენებით შედგენილი რთული დასახელებები, გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ რძისა და რძის ნაწარმისათვის.

ლაბორატორიული კვლევის შედეგად აღნიშნულ ნიმუშებში აღმოჩდა მცენარეული ცხიმები, რომლის გამოყენების შესახებ ინფორმაცია ეტიკეტზე ჩამოთვლილ ინგრედიენტებში არ არის მითითებული, რაც იწვევს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილების მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების დარღვევას.

ზემოაღნიშნული ფაქტები შესაძლოა შეიცავდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს.

გთხოვთ თქვენ რეაგირებას.

დანართი: 3 ფურცელი.

პატივისცემით,



ზურაბ ჩეკურაშვილი

A handwritten signature in blue ink, consisting of a series of fluid, connected strokes. It starts with a long horizontal line on the left, followed by a loop, and ends with a long horizontal line on the right.

სააგენტოს უფროსი